

საქართველოს კანონი  
„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს  
კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“  
საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №41, 8.10.1997წ.) შეტანილ  
იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მისდამი  
დაქვემდებარებული ორგანოები კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში  
ვალდებული არიან:

ა) რაიონის ან ქალაქის (რაიონული დაყოფის გარეშე) ადგილობრივი  
მმართველობის ორგანოს გაწვევის განყოფილებას 10 დღის ვადაში აცნობონ  
სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტში შესატანი  
მონაცემები იმ მოქალაქის შესახებ, რომელიც ვალდებულია იმყოფებოდეს,  
მაგრამ არ იმყოფება სამხედრო აღრიცხვაზე, ხოლო რეზერვისტების თაობაზე  
სამობილიზაციო განყოფილებას

ბ) მოქალაქის რეგისტრაციაში გატარებიდან ან რეგისტრაციიდან  
მიხსნიდან 10 დღის განმავლობაში შასაბამის გაწვევის განყოფილებას აცნობონ  
მისი რეგისტრაციაში გატარების ან რეგისტრაციიდან მოხსნის თარიღი და  
ახალი მისამართი, ხოლო რეზერვისტების თაობაზე სამობილიზაციო  
განყოფილებას.

2. მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. წინასწარი გამოძიების ორგანოები ვალდებული არიან შესაბამის  
ადგილობრივი მართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილებას 10 დღის  
ვადაში აცნობონ სამხედრო ვალდებულის მიმართ სისხლის სამართლის დევნის  
თაობაზე, ხოლო რეზერვისტების თაობაზე – საქართველოს თავდაცვის  
სამინისტროს სამობილიზაციო განყოფილებას“.

3. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები  
და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი  
კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ვალდებული არიან აწარმოონ ძებნა და  
კანონიერი საფუძვლის არსებობისას დააკაუონ ის მოქალაქე, რომელიც თავს  
არიდებს სამხედრო სამსახურში ან სამხედრო შეკრებაზე გაწვევას, ანდა  
სამხედრო სამსახურის ან სამხედრო შეკრების გავლას“.

4. კანონის მე-18 მუხლი ამოღებულ იქნეს.

**5. მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდგომ, მოქალაქეს შეუძლია საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ განსაზღვრული რიცხოვნობის ფარგლებში, რეზერვის ოფიცრთა მომზადების ერთწლიანი პროგრამით მომზადება გაიაროს უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიაში ან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვა სასწავლებელში, რომლის დამთავრებისას მოქალაქეს მიენიჭება უძეგროსი ლეიტენანტის პირველადი სამხედრო წოდება“.

**6. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ რეზერვის ოფიცრთა მომზადების ერთწლიანი პროგრამის გავლა ჩაითვლება სამხედრო ვალდებულების მოხდად“.

**7. მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.**

**8. 30-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 30. სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადება  
1. წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ:  
ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურის გავლისათვის დროებით უვარგისად არის ცნობილი – ვადით ერთ წლამდე;  
ბ) მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე – შესაბამისი ორგანოების მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე;  
გ) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი – უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე, მაგრამ არაუმეტეს 24 წლის ასაკისა.  
დ) მან გადაიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებისათვის „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.  
ე) პატრონობს შრომისუნარო, მის კმაყოფაზე მყოფ ბებიას ან პაპას, თუ მას არა ჰყავს სხვა კანონიერი მოძველები, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;  
ვ) ჰყავს ორი ან მეტი შვილი;  
ზ) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას და არა ჰყავს სხვა კანონიერი მოძველები, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;  
თ) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას, ჰყავს ცალკე ოჯახად მცხოვრები და, რომელსაც არ შეუძლია ოჯახის შრომისუნარო წევრის მოვლა პატრონობა;  
ი) მის კმაყოფაზეა არასრულწლოვანი ან/და ობოლი და-ძმა;  
კ) არის მღვდელთმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში;  
ლ) არის დედისერთა;  
მ) გაწვევის გადავადების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;  
ნ) ჰყავს ერთი შვილი – შვილის შექმნისდღიდან სამი წლის ვადით.  
2. თუ წვევამდელი გაწვევის დღისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, მას სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე. საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში იგი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან.“

3. ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის წესი და პირობები განისაზღვრება „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით“.

9. 38-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4<sup>1</sup> პუნქტი:

„4<sup>1</sup>. საქართველოს სამხედრო ძალებში სხვა სახელმწიფო უწყებიდან სამუშაოდ გადმოსული (გადმოყვანილი) პირების სპეციალური წოდების შესაბამის სამხედრო წოდებასთან გათანაბრების ცალკეულ შემთხვევებს ბრძანებით განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის მინისტრი“.

10. 38-ე მუხლის 7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში სამხედრო წოდება ვადაზე ადრე შეიძლება მიენიჭოს:

ა) მხოლოდ ერთხელ განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

ბ) თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში“.

11. მე-40 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

12. 46-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. იმ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტებს, რომლებიც ამ კანონი მე-19 მუხლის (რეზერვისტთა მომზადება) ძალაში შესულამდე გადიოდნენ სამხედრო კათედრის დამამთავრებელ კურსს, სამხედრო კათედრა ჩაეთვალოთ გავლილად, მიენიჭოთ სერჟანტის სამხედრო წოდება და ჩაირიცხონ სამხედრო ძალების რეზერვში“.

13. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 46<sup>3</sup> მუხლი:

„მუხლი 46<sup>3</sup> გადავადების მოსაკრებლით სარგებლობის განსაკუთრებული პირობები.

1. პირი, რომელიც „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სარგებლობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლებით, აღნიშნული საფუძვლით სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა გადაუვადდეს არაუმეტეს 25 წლის ასაკისა, ხოლო მოსაკრებლის სახით გადახდილი თანხის ის ნაწილი, რომელიც მას გადავადების უფლებას აძლევდა 25 წლის ასაკის შემდგომაც დაუბრუნდეს უკან და ამ კანონით დადგენილი წესით დაექვემდებაროს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას.

2. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესრულების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების გამოცემა“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ სააკაშვილი